გიგა მჟავანაძე, ნიკა ჩიხრაძე

ქართული კარტოგრაფიის განვითარებვის ეტაპები

ანოტაცია

ქართული კარტოგრაფია თავისი განვითარების ათვლას მე-18 საუკუნეში იწყებს. ქართული კარტოგრაფიის განვითარების ისტორია შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს მე-18 საუკუნეს, მეორე ეტაპი მე-19 საუკუნეს, ხოლო მესამე ეტაპი მოიცავს პერიოდს მეოცე საუკუნიდან დღემდე.

საქართველოში კარტოგრაფიის სათავეებთან დგას გამოჩენილი გეოგრაფი, კარტოგრაფი და ისტორიკოსი, ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი). მან შექმნა სწორედ პირველი ქართულენოვანი რუკები, რომლებიც მეცნიერული თავალსაზრისით სრულფასოვან კარტოგრაფიულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ. ვახუშტის რუკებმა სრული აღიარება მოიპოვა ევროპულ კარტოგრაფიაში. ვახუშტიმ შეადგინა სამი ატლასი და დაწერა წიგნი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია). ამ ეტაპზე კარტოგრაფიაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ასევე, სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ მეექვსემ და ტიმოთე გაბაშვილმა.

განვითარების *მეორე ეტაპზე* საქართველოში ძირითადად რუსი კარტოგრაფები მოღვაწეობდნენ, რომელთა საქმიანობა ძირითადად ტოპო-გეოდეზიურ აგეგმვებსა და ვერსტიანი რუკების შედგენასთან არის დაკავშირებული.

მესამე ეტაპი კარტოგრაფიის განვითარებაში უკავშირდება საქართველოში მეცნიერული კარტოგრაფიის ფორმირებასთან. ამ ეტაპზე მოღაწეობდნენ: ანდრია ბენაშვილი, სერგი ცხაკაია, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ასლანიკაშვილი, გრიგოლ ხუნჯუა, ალექსანდრე სამადბეგოვი, როსტომ ჩეკურიშვილი, იოსებ ქართველიშვილი, ჯანსუღ კეკელია და ნიკოლოზ ბერუჩაშვილი. ამ ეტაპს უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კარტოგრაფიული პროფილის კათედრის დაარსება, რის შემდეგად დაარსდა კარტოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ გეოგრაფიის ინსტიტუტად გადაკეთდა. ამ პერიოდში გამოიცა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებვი კარტოგრაფიასა და ტოპოგრაფია-გეოდეზიაში. ამ პერიოდში იქმნება კარტოგრაფიის თეორიული საფუძვლები, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ალექსანდრე ასლანიკაშვილმა. ქართულ კარტოგრაფიაში ამ ეტაპზე ინერგება პირველი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები, როგორეც პრაქტიკაში, ისე საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამაში. ამ მიმართულების ავტორი საქართველოში არის ნიკოლოზ ბერუჩაშვილი.

Giga Mzhavanadze, Nika Chikhradze

Georgian cartography developement period

Annotation

Georgian cartography begins counting its development in the 18th century. The history of the development of Georgian cartography can be divided into three stages. The first phase covers the 18th century, the second phase covers the 19th century, and the third phase covers the period from the twentieth century to the present day.

The outstanding geographer, cartographer and historian Vakhushti Bagrationi (Batonishvili) stands at the head of cartography in Georgia. He created the very first Georgian-language maps, which are full-fledged cartographic works from a scientific point of view. Vakhushti maps gained full recognition in European cartography. Vakhushti compiled three atlases and wrote the book "Description of the Kingdom of Georgia" (Geography of Georgia). At this stage, Sulkhan-Saba Orbeliani, Vakhtang Meekvse and Timothe Gabashvili also contributed to cartography.

In the second stage of development, mainly Russian cartographers worked in Georgia, whose activities are mainly related to topographical planning and the compilation of vertical maps.

The third stage in the development of cartography is connected with the formation of scientific cartography in Georgia. At this stage: Andria Benashvili, Sergi Tshkakaia, Aleksandre Javakhishvili, Aleksandre Aslanikashvili, Grigol Khunjua, Aleksandre Samadbegov, Rostom Chekurishvili, Ioseb Kartvelishvili, Jansug Kekelia and Nikoloz Beruchashvili. This stage is connected with the establishment of the Department of Cartographic Profile at Tbilisi State University, after which the Institute of Cartography was established, which was later transformed into the Institute of Geography. During this period, the first Georgian-language textbooks on cartography and topography-geodesy were published. During this period, the theoretical foundations of cartography were created, which was founded by Aleksandre Aslanikashvili. At this stage, the first geographic information systems are introduced in Georgian cartography, both in practice and in the university curriculum. The author of this direction in Georgia is Nikoloz Beruchashvili.